№ 237. 11 ნოემბერი, სამშაბათი. 1866—1880 11 ნოემბერი, სამშაბათი № 237.

რედაქცია
ტფილისის ბროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
ქაღდება „დროებაზე“ „ივერიაზე“ რედაქციაში. გარეშე ქალაქებისათვის: Въ Тифлисѣ, въ редакціи Дроэба“ „Иверіи“

„დროება“—„ივერიის“ ფასი
წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს
„დროება“ „ივერია“ ერთად. 13 შაი. 7 შაი. 4 შ.
ცალკე { „დროება“ 9 შაი. 5 შაი. 3 შ.
{ „ივერია“ 6 შაი. 4 შაი. 2 შ.
ცალკენომერი „დროებისა“ დირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 შაი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოზე ნახევარ შაურით ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებრივი ასოები ორჯერ მეტი ასოზე 1 კაპ.
თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაახწორებს დიდ ასოებით დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაბეჭდილ წერილს რედაქცია ოცზედ კერძ დაუბრუნებს ბეჭდავს.
განცხადება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ამ თვის სუთს „დროებაზე“-„ივერიის“ რედაქცია გადავიდა გალავნის ბროსპექტზე, თ. ივ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ, კარები ბროსპექტიდამ, კლუბის კარების მარჯვნით.

არწრუნის თეატრში
ოთხშაბათს, 12 ნოემბერს
ქართულ ტრუპისაგან წარმოიდგინება
I
დროებით
სიყვარული
კომედია 2 მოქ., გადმოკ. რუსულიდ. თ. დ. ერისთავისაგან.
II
იჯვიანი
ვოდევილი 1 მოქ. რუსულიდ. გადმოკ. თ. რ. ერისთავისაგან.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და ასწავლებლის თამბაქოს მაღაზიაში.
დასაწყისი 7½ საათზე.

ტელეგრამები
(ხალხთა შორის საგანგებო)

ლივადია, 7 ნოემბ. დღეს შუადღემე ცხრის მეოთხედზე თოფის მეუღლითა და შვილებით სუთს „დროებაზე“-„ივერიის“ რედაქცია გადავიდა გალავნის ბროსპექტზე, თ. ივ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ, კარები ბროსპექტიდამ, კლუბის კარების მარჯვნით.

«დროების» ფელეტონი, 11 ნოემბ.

წერილი ქობულეთიდამ*)

როცა ჩოლოქში (ბოგილის ფოშტაში) ჩაბრძანდა თ. ლ. მელიქოვი, ადგილობითი ბათუმის მილიციის ცხენოსნის ჯარისა ნახევარი წინ გაუძღვა და ნახევარიც უკან ჩამოდგა.

დაიწყეს სასიამოვნო ქობულეთური სიმღერა, რომელიც განთქმულია ახალ შეძენილ საქართველოში და ბურიაშიც.

უნდა ვსთქვა მართალი, რომ ქობულეთისთანა ლამაზი და მოყვანილი ტანადი ახალ-გაზდები არსად საქართველოში არ უნდა იყოს. ამისა გამო მხედარნიც არიან და მარჯვეც რასაზედაც დასახელებ...

ბურიაში როგორ ახალი სახალხო სიმღერა გაჩნდება, იცოდე, როგორ ქობულეთიდამ არის.

ძრიელ მხიარულათ მიდიოდა ცხენოსნის სოტნა; ნახევარი წინ და ნახევარი უკან მიაჭენებდნენ ცხენებს და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

*) „დროება“, № 228.

— ეი და, ძიაე წეიდეთ მარდათ! ჩვენს ახალ ბატონს იამება რომ კარგათ წავალთ.

ამ მხიარულებით და ცხენების ჭენებით ჩაველით ქობულეთში ორი თუ სამი საათის განმავლობაში. იქ, როგორც ჩვეულებაა საზოგადოთ, ბევრი ხალხი იყო თავ-მოყრილი, თ. მელიქოვის შესაგებებლად: აღიები, თუ ასე უბრალო ხალხი, რომელიც დიდს იმედს და შემწეობას მოელოდა და კიდევაც აღასრულა.

აქ, თ. მელიქოვი მისელისა თანავე გადმობრძანდა ეტლიდამ, გამარჯვება უთხრა შეგროვილ ქობულეთლებს და ბრძანა: „ახლა შვილებო ცოტას დავისვენებ და შემდეგ ორი საათის უკან, მობძანდით და ყოველივეს მოგელაპარაკებით.“ როგორც ბრძანა ისე იქნება: ორი საათის უკან დაიბარა ყველანი აღიები და სხვაც, რომ მოგროვილიყვნენ მის სადგომის წინ.

რასაკვირველია, ქობულეთლები დიდიან-პატარიანათ მოგროვდნენ. ამ დროს გამოიტანეს დიდი ხალიჩა და გააგეს მიწაზედ, ზედ სკამები გამოიტანეს დადგეს ოთხი თუ ხუთი. თ. მელიქოვი დაბრძანდა, გარემომო ღონიერ. ქამაროვი ნაჩალნიკი სამხედრო სახალხო სამმართველოსა, მასთან ძმა მისი ბათომის გუბერნატორი და კიდევ საპატიოების ბრიგადის ნაჩალნიკი, შემდეგ თ. ბრიგოლ ბურიელი. თ. მელიქოვმა ბრძანა: „აბა, შვილებო და ძმანებო, რა გაქვსთ სათხოვარი?

ხალხმა ამოიღო საზოგადოებიდგან თხოვნა და მიართვეს იმის თაობაზედ, რომ იგინი შეეწროებული არიან წასრულ ომიანობის გამო, აოხრებული, და დამწვარი და შემწეობა სთხოვეს, რომ ხელი მოუმართოს ახალმა რუსის მმართებლობამ და დააკონახოს (დაასახლოს.) ბარდა ამისა თხოვნაში იყო, რომ ადგილ-მამულის, როგორც თათრის ხელში ხმარობდნენ ისე ნება მიეცესთ რუსის მმართებლობიდგანაც და კიდევ ჯერ-ჯერობით გადასახადი რომ არ მოეთხოვოსთ.

თხოვნა რომ ჩამოართვა ქობულეთლებს თ. მელიქოვმა, წაიკითხა და ბრძანა: „რაც კი შესაძლო იქნება კანონით, ყოველივეს გიშუამდგომლებო, მხოლოდ მამულის თაობაზედ კომისია არის დანიშნული და როცა გაათავებს კომისია იმ მამულების სისრულეში ცნობის მოყვანასა, მერმე ვეცდებიო, რომ თავ-თავიანთი მიწა-წყალი ყველას დაგრჩეს და არაფერი უწესოება თქვენ არ მოგადგეს ჩვენი მმართებლობისაგანო. დამწვრობას და ზარალს რაც შეეხებაო, ეს ასე გათავდაო, როგორც ვიცოო, რომ ხელმწიფემ მოგცათ თქვენ სესხათ 20,000 მანეთი ფულიო და ეს კი უნდა მიგეღოსთ თქვენო და მიიღეთ თუ არაო, ჰკითხა. ზოგმა სთქვა, კი, მივიღეთო და ზოგმა თქვა, არაო. მერმე აუხსნა, რომ 7,000 მანეთი იმ გადმოსახლებულებს ერგებოდაო, რომელნიც ომის დროს გადმოვიდნენ ჩვენსკენ და 14,000 მანეთი იმათ ერგო, რომელნიც არ გადმოსულანო და ეს ფულები ხომ მიიღეთო? ქობულეთლებმა უპასუხეს: კი, ბატონო. სიმინდიც ხომ მიიღეთო, რაც ხელმწიფემ ინება გადმოცემოო? — მიიღეთ, ბატონოვო! — ქარგი, აბა სხვა რა, შვილებოო? — სხვა რა ბატონოვო, მოახსენა ერთმა რეჯებ-აღამ: თუ შეიძლება, ეს ფულები ოცი ათასი მანეთი რომ არის ჩვენგან მიღე-

ახირებული ლტოლიკა გაზ. „კავკაზისა“

ტფილისი, 10 ნოემბერს.

ოცს რუსულ გაზეთში „როსსიაში“ და „ნოვოე ვრემიაში“ დაბეჭდილი იყო ამას წინად ვიღაც დ. გ—საგან გაგზავნილი კორრესპოდენციები, რომლებშიაც ავტორი ჩვენი მხრის ზოგიერთ „სატკივრებს“ მოიხსენებდა:

დიდი დაბრკოლება ეძლევა ქავკასიის აქეთა მხრის წარმატებას იმითიო, რომ აქაურ სასამართლოებში საქმის გარჩევა და ლაპარაკი უცხო ენაზედ არისო, რომ მოსამართლეებმა ადგილობრივი ენები არ იციანო; სასწავლებლებში უსუსურ ბავშვებს პირდა-პირ უცნობ ენაზედ აწყებინებენ სწავლასაო, სამშობლო ენა განდევნილიაო; ადმინისტრაციის ჩინოვნიკებად ისეთი პირები არიან დანიშნულნი, რომელთაც ხალხის არც ენა ესმით, არც ხასიათი, არც ჩვეულება და აქედამ წარმოსდგებაო ის, რომ ხალხს ამათი რწმენა და პატივის-ცემა არა აქვს და ამათ ხალხისა: და საზოგადოებაც [illegible] ყენ, კავკასიელები, ყველა ეროფორმებიდამ, რომელიც რუსეთის იმპერიაში შემოღებულია და იქ საკეთილოდ მიაჩნიათ, გამორიცხულნი ვართო: მაგ. ნაფიცი მსაჯულები ჩვენ არა გვყავსო, ზემსტვო (ერობა) არ გვაღირსესო, და სხვა. და სხვ.

ერთის სიტყვით, იმ კორრესპოდენციებში გამოცხადებული იყო ისეთი აზრები, რომლის მსგავსიც რუსულ გაზეთებშიაც და ადგილობრივშიაც არა-ერთხელ ყოფილა ხოლმე გამოცხადებული და დამტკიცებული. თუმცა ჭეშმარიტ, მაგრამ ამასთანავე ერთობ „ვაცკეთილ“ აზრებად მიგვაჩნდა ჩვენ ეს ბ. დ. გ—ის აზრები და ამიტომაც მაგდენი ყურადღება არც კი მიგვიქცევია იმის კორრესპოდენციებისათვის.

გაზ. „ქავკაზმა“ კი სხვანაირად განსაჯა: მთელი უშველებელი წინა სტატია უძღვნა იმან ამ კორრესპოდენციებს. ეს სტატია ისეთი უფერული და უკბილო რაღაც არის, რომ, თუ არ იმის უკანასკნელი სიტყვები, რასაკვირველია, ამაზედ ლაპარაკი სულაც არა ღირდა. უკანასკნელი სტრიქონები კი „ქავკაზის“ სტატიის შესანიშნავი სტრიქონებია. აი, ეს სტრიქონები სიტყვა-სიტყვით:

„კორრესპონდენტის აზრით, ქავკასიაში ყველაფერს აბრკოლებს და ყველი ენისა და რუსის ჩინოვნიკისაგან. ამის მოსპობა ადვილია. საჭიროა მხოლოდ, რომ ყველა წვრილმან ხალხებში გააჩინოთ საკუთარი ლიტერატურულ-კანონ-მდებელობითი-ადმინისტრაციული ენა, დააყენოთ საკუთარი ჩინოვნიკები, რომელნიც თა-

ვის სამშობლო ენებზე და თავის წვრიმალ იდეალებით განათლებულნი იქნებიან: მაშინ რუსები განკრებიან და ყველაფერი იქნება „ადგილობრივი,“ „ნაციონალური!“

„ეს გნებავთ თქვენ? **მაგრამ ეკი ჟველა ეს 1880 წლამდინ გჭოხდათ. განა რაც ამ უკანასკნელ ოთხმოცის წლის განმავლობაში გაკეთდა თქვენ-თვის, უარესია იმაზედ, რაც ადა-მანდ-ხანის დროს იყო თქვენში?**“

აი, ეს არის გაზ. „ცისკრის“ სიბრძნე! ეს არის იმის ლოღიკა! ამ უაზრო სტრიქონების გასაქარწყლებლად ბევრი ლაპარაკი და დამტკიცება არ არის საჭირო: მოვიყვანთ მხოლოდ ერთს პატარა შედარებას:

თითქმის ყველა რუსული გაზეთები ქადაგობენ და თხოულობენ ახლა, რომ რუსეთში სხვა-და-სხვა ცვლილება მოხდეს: გლეხის მდგომარეობა გაუმჯობესდესო, უკეთესი ჩინოვნიკები დაინიშნოსო, ბეჭდვას უფრო მომეტებული თავისუფლება მიენიჭოსო, სასამართლოებში მომეტებული წესი და რიგი იყოსო, საზოგადოებასაც ხმა ჰქონდეს საერთო საქმეებშიაო და სხვ. და სხვ.

წარმოიდგინეთ ახლა თქვენ, რომ აღმოჩნდა რომელიმე მწერალი, რომელმანც. ყველა საბუთების მაგიერად, ამ სხვა-და-სხვა რეფორმებისა და ცვლილებათა მომთხოვნოთ უთხრას შემდეგი სიტყვები:

რაო! თქვენ გლეხის მდგომარეობა? თქვენ გნებავთ, რომ სტამბას მომეტებული თავისუფლება ჰქონდეს? თქვენ ამტკიცებთ, რომ საზოგადოებასაც მიენიჭოს ხმა საერო, საქვეყნო საქმეებშიო? თქვე საწყლებო, მოიგონეთ ჩინგის-უაენის და ბატიას დრო! რა იყო მაშინ რუსეთში? რა ვიყავით მაშინ ჩვენ, რუსები? განა რაც ამ

ბულიო და ისე სიმინდიო ვალად, გვაპატიოს რუსის მმართებლობამო. იმას გთხოვთო.—ძარგიო. შვილებო, მოვახსენებ ველიკიკნიაზსო და იქნება გაპატიოსთო.

ძიდევ, ბატონო, მოახსენა რეჯებ-აღამ, გადასახადი გვაპატიეთო, სალდათთ გთხოვთ ნუ გაგვიყვანთო.

— „ჰო, შვილო, იყავით მშვიდობიანათ და წყნარათ, მე რაც კი შეიძლება: ყველაფერს ვეცდები და ვიშუამდგომლებო, რომ ყოველივე თქვენი თხოვნა აღვასრულო; დაიწყნარეთ თქვენი გული, ნუ ხართ აღშფოთებული და ეჭვში ნუ იქნებით; თქვენ ჩვენი ხელმწიფე არც სალდათს მოგთხოვსთ და თუ შესაძლო იქნა, არც ჯერ-ჯერობით გადასახადს. სალდათს თქვენ მისთვის არ მოგთხოვს, რომ თქვენ შეგიძლიათ თქვენსავე ქვეყანაში, როგორც გურულები, დროებით გამოხვიდეთ სამსახურში, როგორც ახლა არის თქვენი ადგილობითი მილიცია და ემსახუროთ ხელმწიფეს და სამშობლოს, როცა გინდათ თავისუფალი გახდებით. ამ ნაირათ იქნება თქვენი სამსახური.

უკანასკნელ ხუთი ექვსი საუკუნის განმავლობაში გაკეთდა ჩვენთვის, უარესია იმაზედ, რაც ჩინგის-უაენის დროს იყო, როდესაც თათრები გვსრესდნენ და მუხლ-მოდგრეკით ვეველდრებოდით იმათ შეწყნარებასა?!

სწორეთ ამ გვარი არ არის „ცისკრის“ ლოღიკა? ამ სიბრძნით გატენილ გაზეთს ის უბრალო ჭეშმარიტებაც კი ვერ გაუგია, რომ ყოველ ჟამს, ყოველ დროს თავის საკუთარი საჭიროება და მოთხოვნილება აქვს, რომელსაც დაჰკაყოფილება, შესრულება ეჭირება...

ახალი ამბები

—

გაზეთის „ბოლოსის“ უკანასკნელს (304) ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა:

„თფილისი, 2 ნოემბერს. ისმის, რომ შუშინდღეს სიონს, საქართველოს ეგზარხოსის შუამდგომლობით, განზრახვა აქვს, რომ, წინაალმდეგ შემაღლესად დამტკიცებულის წესდებისა, სასულიერო სასწავლებლებში ამორჩევითი წესი მოსპოს (ე. ი. სას. სასწავლებლების ზედამხედველები დღეის შემდეგ ეგზარხოსის ნება-რთვით და არა სამღვდელოების ამორჩევით უნდა დაინიშნოსო). ამ ამბავმა ძალიან ცუდი (მძიმე) შთაბეჭდილება მოახდინა აქაურს საზოგადოებაში და განსაკუთრებით საქართველოს სამღვდელო ხაში“.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ, დიდის მთავრის ცისკრის ნამესტნიკის განკარგულებით, ოთხი უფროსი ჩინოვნიკი არის დანიშნული კავკასიის აქეთა მხრის უეზდების რევიზიისათვის; ეს ჩინოვნიკები არიან: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები: ვ. სარაჯოვი, ვოიუცკი, ტიმირიაზევი და ილიაშევიჩი.

როგორც გაზ. „ცისკრი“ გვაცნობებს, ამათ მინდობილი აქვს, ყველა საადმინისტრაციო უწყებას უყონ რევიზია, აგრეთვე სასწავლებლებს, ფოჩტებს, საექიმო უწყებას, სატყეოს, სახელმწიფო ქონებისას, სოფლის კანცელარიებს და სხვ. სასამართლოებს არ შეეხებიან, ცისკრამ ამათ აქვსთ მინდობილი გამოიკვლიონ—თუ როგორ მოქმედობენ ეს სასამართლოები და საგლეხო პრისუტსტვიები და რა ნდობა დაიმსახურეს ამათ ხალხში.

ბ. ვ. სარაჯოვს, როგორც გვითხრეს, სამეგრელო-ლეჩხუმის რევიზია აქვს მინდობილი, ე. ი. სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრები, და ის უკვე წავიდა თავის მინდობილობის აღსასრულებლათაო.

***

ჩვენ გვითხრეს, რომ ყველა ქართულ კეთილ საქმეების თანამგრძნობს ბ. გიორგი ქართველიშვილს, „ნახევარი ცხოვრების გზის გავლის“ სახსოვრად, „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ შეუწირავს ორი 5% შინაგანი სესხის მოგებიანი ბილეთი, რომელიც 500 მანეთამდინ ღირს, იმ პირობით, რომ, თუ ოდესმე ამ ბილეთებს მოგება ერგო, ამ მოგების სარგებლით საზოგადოებამ ერთ-ერთ სასწავლებელში სტიპენდია დანიშნოს და ამ სტიპენდიით ღარიბი ქართველი გამოზარდოს. ამას გარდა პატივ-ცემულ ქართველიშვილს ამავე დღეს 500 მანეთამდინ კიდევ სხვა დაურიგებია ღარიბ ოჯახებისთვის.

ქეთილი, კარგი მისაბაძავი მაგალითია...

***

ჭუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მ. ასათიანის

გიშვამდგომლებთ, შვილებო, რომ არა გაგიჭირდესთ-რა და იყვნეთ კარგათ. მე შვილო, როგორც ქართველი კაცი, მუდამ მსურველი ვარ, რომ თქვენ კარგათ იყვნეთ და ჩვენ შამოგვიერთდეთ; ძმობა და ამხანაგობა, როგორც ყოფილა ძველ ჩვენ მამა-პაპათა, ისე ვიყვნეთ და რჯული, თქვენ როგორც გქონებიათ, ისე გექნებათ, კაცი ვერ მეტყვის ამაზედ მიზეზს. უნდა გითხრათ, შვილნო, რომ ხალხს თუ კარგა მიყავს თავის ცხოვრება, ის ყოველთვის დაცულია თავის მართებლობიდამ და არც მას რჯულს შეეხება და შეუცველის იმას და არც ზნეს, თუ კი იმ ერთგულებას გამოიჩენს, რომელსაც თვის უწინდელ მართებლობასთან იჩენდა. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც თათრის მართებლობის დროს იჩენდით ერთგულებას, ისე ჩვენთან იქნებით და გამოიჩენთ იმ მხნეობას და იმ ერთგულებას, რომლისთვის თქვენ ჩვენი მართებლობიდგან დიდი პატივი და ქება გექნებათ...

მოკლის თაობაზედ შემდგარი სჯა (კ. ღვინიაშვილისა), როგორც ჭუთაისიდამ გვწერენ, ამ თვის 27 იქნება იქაურ ოლქის სასამართლოში განხილული.

***

დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა ამ თვის 4-ს დაამტკიცა „ჭუთაისის გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წესდება.

***

ამ ჟამად ისეთი თბილი, წყნარი დღეები დგას თფილისში, ისეთი საისამოვნო მზე არის, რომ ვერ წარმოგვიდგენია—თუ ნოემბრის შუაა და ზამთარი კარზე გვადგია...

„დროების“ კორესპონდენცია

—

თელავიდამ, 2 ნოემბ. რაც დრო მიდის, თელავში უფრო ჰირდება ცხოვრება. ამისთანა სიძვირეს, როგორც ეხლაა, თელაველნი ჯერ არ შევსწრებივართ. რა გინდათ, რომელი საზრდო გინდათ, რომ თელავში ძვირი არ იყოს: შეშა—25-30 მანეთი საჟენი, ფქვილი უხეირო—1 მან. და 80 კ. ფუთი, ხორბალი გვარიანი—4 მ. 50 კ. კოდი, თევზი—40 კაპ. გირვ. და სხვ. და სხვ.

ბაჭირდა-მეთქი თელავში ცხოვრება, მაგრამ აქაურნი ისევ უწინდებურად, მამა-პაპურად უზრუნველად ატარებენ თავის სიცოცხლესა; არავითარს საზოგადო საქმეზედ არა ზრუნავენ თავის ცხოვრების განკარგებისათვის... რომელი მხარე გინდათ თელაველებისა, რომ თან-და-თან უკან-უკან არ მიდიოდეს, რასაკვირველია, გარდა ქალალდის თამაშობისა, ღვინის სმისა, ლოტოს თამაშობისა (ქალებში), ჭორებისა და სხვა ამ გვარი ადამიანის

ამაზედ ჭობულეთლებმა მოახსენეს: ჩვენ, ბატონო, თუ კი რამე შეგვეძლება, როგორც ჩვენს ფადიშახს ვემსახურებოდით, ისე ვემსახურებით რუსის ცარალს.

— მაშ, შვილებო, იყავით მშვიდობიანათ და კარგათ დათუ კიდევ რამ სათხოვარი გაქვსთ, ხვალაც შეგიძლიათ მითხრათ.

ამის შემდეგ თ. მელიქოვი ადგა და წაბრძანდა თავის სადგომ სახლში.

აქ კერძო თხოვნებიც ბევრი მიართვეს თ. მელიქოვს სხვა და სხვა საგანზედ, რომლისათვისაც ისიც იმ პირებმა საჩუქარი მიიღეს: ზოგმა ხუთი მან. ზოგმა ათი და ზოგმა ოცი და სხვ...

მეორე დღეს მე დილით ადრე წამოვედი და რა ქნეს,—აღარ ვიცი...

ს. ჯ.

19 ოქტომბერს ქობულეთი.

ზნეობის დამამცირებელ თვისებათა?! თუ გაიღვიძა რაიმე საკეთილო საქმემ თელაველებში, ისევ ისე მალე მიყრუვდება, ისე მალე მიეცემა დაეწყებასა, როგორც შარშანდელი თოველი. დავიწყოთ თავიდამ.

თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა აღზრდისათვის იყო კრება, რომელზედაც თითქმის ერთ-ხმად გარდასწყვიტეს 15 მანეთამდინ შესწირონ ყოველ წელს თვითეულმა თავად-აზნაურმა; კომისიაც აღმოირჩიეს, რომელსაც ცნობაში უნდა მოეყვანა თვითეულის თავადისა და აზნაურის შეძლება, გაეწერა ფული შეძლებისა-და-გვარად და წარმოედგინა კრებისათვის. რაგორ გგონიათ: გააკეთა რამე ამ კომმისიამ?—სრულიად არაფერი! დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ თვით თავად-აზნაურთ არც კი ახსოვთ—ვინ იქმნა მათგან აღმორჩეული კომმისიის წევრებად!.. ოქმი კი შეადგინეს, მაგრამ როდის ელირსება იმ ოქმს ხელ-მეორედ ქვეყნის დანახვა, როდის შეცა საქმეში, — მხოლოდ ღმერთმა უწყის... ვგონებ კომმისიის წევრები იმით იმართლებენ თავსა, რომ ზამოღმა-მხარში მოერჩით საქმეებიო, მაგრამ ბაღმა-მხარში ვერ გაესულვართო, რადგანაც ხიდი არ არისო: გაღმიდამ იმოდენი საქმეები და შეკრებილი ფულები როგორ გამოვიტანოთ ალაზანში უხიდოთო!!.

მართლა, სიტყვამ მოიტანა: ნეტა როდის გაგვიკეთდება ერთად-ერთი ხიდი ალაზანზედ?

თელავში დაიწყეს გზების კეთება და ორიოდე ქუჩას გვერდებზე არხები გაუჭრეს; შემდეგ უცბრივ დაიძახეს: „გვეყოფაო!“ და დადგნენ. ამ ჟამად თელავის ქუჩა-ორღობეები სავსეა ნაგვით. როდის ელირსება თელავის ქუჩებს დაგვა-დაწმენდა, როდის ელირსება გაუკეთებელს ქუჩებს გაკეთება და გაკეთებულს (და ახლა გაფუჭებულს) შეკეთება,—ეს ყველა მხოლოდ და მხოლოდ ღმერთმა იცის. ნეტავი გაკეთებული ქუჩები არ გაფუჭებულიყვნენ, თორემ ახლების გაკეთებას ვინა ჩივის! რა დიდი საქმეა ქუჩებზე ქვიშის მოყრა, მადლობა ღმერთს, თვით თელავის ნიადაგი ქვიშიანი და მაგარია თელავის ფარნები? ეს ფარნები აქ, მგონია, ფორმის, შნოს გულისათვის გახლავთ გაკეთებული: ვიდრე მთვარე სჩანს, სრულიად არ ანთებენ და როდესაც აანთებენ, ორის საჟენის სიერცეზედ არ ანათებენ და 2-3 საათის შემდეგ ანთებისა თავის-თავად ჰქრებიან! რისათვის აძლევს ქალაქი მოიჯარადრეს თვითო ფარანში ხუთმეტს მანეთსა?

„ბატონის-ციხის“ დასაელეთის კარებში ისეთი უსუფთაობაა, რომ ადამიანი ცხვირ-სახოც მიუფარებლად ვერ გაიელის; ამ გვარივე უსუფთაობაა ქუჩების ზოგიერთ კუთხეებ-კუნჭულებში; მაგრამ ამაზედ ხმას არავინ იღებს. ნეტა რა იქმნენ ის საზოგადო ფეხის-ადგილები, რომლების ვაკეთება თელავის სანიტარულმა კომმისიამ 17 მარტს ამა წლისა დაადგინა? რად აგვიანებენ? ფულის მოკრება ხომ დაწყებული იყო 17 მარტიდამ და რაც ამ შვიდის თვის განმავლობაში ფული მოიკრიბა ამ საგნისათვის, რა იქნა ის ფული?

ამ ჟამად თელავში იმყოფება ტფილისის სასამართლოს განყოფილება. ეს პატივცემულნი კანონის დამცველნი, სწორედ რომ მაგალითნი არიან ცულლუტობისა და სიზარმაცისა: აუკიდნიათ თოფები მხრებზედ და სანადიროდ დადიან ბაღმა მხარეში. 26-ს ღვინობისთვეს ს. ქონდოლში იყვნენ ფოშტის ტროიკით საქეიფო-სანადიროდ, „უბრალო“ კაცს რომ დიდის საჭიროებისათვის უნდოდეს,—ტროიკას არ მისცემენ—„ოკრუჟნი“ სუდის ჩლენები მიდიან და შენ როგორ მოგცეთ ტროიკაო!!“

საქმეების გასარჩევად შუადღის 12 საათზედ შედიან სასამართლოში ეს პატივცემულნი წევრნი თემიდის ტაძრისა... ერთი შეგვატყობინეთ: ნუ თუ ტფილისშიაც ამფერად იქცევიან? —თუ ჩვენ პროვინციელებს გვიბრიყვებენ? „ვის შეუძლიან ჩვენზედ ხმა ამოიღოს!“ დიახ, ასეა მომართული ჩვენი წუთის სოფელი. როდემდის, როდემდის უნდა გაგძელდეს ამ გვარი მომართულობა უსამართლო წუთისოფლისა „ნუ თუ ეს-ღა გვაქვს, ეჰხედავთ რასაცა?“

ოსოფრე.

ოქუმი, 2 ნოემბერს. ჟურდობა სამურზაყანოში უჩვეულებრივად მოედვა, ამ უკანასკნელ დროში; მაგრამ ახლა თითქმის თვე ნახევარია, რაც ველირსეთ სანატრელის დროა და—შევისვენეთ ქურდების კლანჭისაგან; ველირსათ საბრალო პირუტყვს ღამით სიარული თავისუფლად და ბალახობა; მოისვენეს აქაურ ადგილობრივი სასამართლოების მწერლებმა იმ უზომო განცხადების ბილეთისა, ჩაწერასა ჟურნალებში და საქმისადმი მიკერებისაგან. მაგრამ დაკარგული კი, მეტადრე სამღვდელოებისა, მოუბრუნებლად გაქარწყლდნენ,—ვერა ვითარ კმაყოფილებას იგინი ვერ იღებენ ვერავისგან. მიზეზი ქურდობის დაწყნარებისა გახლავსთ ის დებულება, რომელიც შეადგინეს ადგილობრივი საზოგადოების რომელთამე მაღალ წოდების პირთა მოსასპობელად ქურდობისა. ეს დობილება, საზოგადოებისაგან ხელ-მოწერილი, გაგზავნილა უმაღლესის მთავრობისადმი დასამტკიცებლად: თუ ველირსეთ დამტკიცებას, ხო კარგი,—თორემ, თქვენს მტერს,—თუ კიდეე თავი აიშვეს შესვენებულ ქურდებმა, მაშინ ვინღა გადაურჩება მათ?

ამ გვარ ქვეყანაში, სადაც ხალხი უსწავლელია, უანგარიშო ჩვეულება, შემარცხვენელნი კაცების ღირსებისა, მიუღია ძველებისაგან და მტკიცედ უჭირავსთ, აუცილებელი საჭიროა რომელიმე საშუალებით ხალხი პატივს სცემდეს ეკლესიას და მღვდელს, რომ სულიერს მწყემსს შეეძლოს სწავლება მისი და დაყენება სწორს გზაზედ. ჩემის შეხედვით, ერთი უკეთუ-რი საშვალებათაგანი იქნება რომ კვირა და დღესასწაულს დღეებში სასოფლო სასამართლოები დაიხურებოდნენ შუა დღემდის, სანამ წირვა გათავდებოდეს, მოხელე კაცები ეკლესიაში მოდიოდნენ: მაშინ უსათუოდ ხალხიც მათ წაბაძავდა და შეიკრიბებოდა ეკლესიაში...

ჩქაური.

წერილი რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო!

ამას წინათ გაზეთის „ქავკაზის“ №-280 ნომერში დაბეჭდილი იყო ჭუთაისიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორიც სხვათა-შორის იწერებოდა:

ხარაზოვმა ააშენა ჭუთაისში თეატრი, რომელიც ულირს 20 ათას მანეთად“..... „ჭუთაისის ინტელიგენციამ სთხოვა ხარაზოვს შეეკეთებინა ეს შენობა, როგორც საჭიროება მოითხოვდა; ხარაზოვი დათანხმდა ამ სახოგადო თხოვნაზედ და შეიტანა ქალაქის გამგეობაში განცხადება, რომლითაც სთხოვდნენ მას მიწის ქირაობის ვადის გაგრძელებას 12 წლის ვადით, რადგანაც შენობის შეკეთებაზედ უნდა დახარჯოს კიდევ 9 ათას მანეთამდისინ და სარგებლობა კი იმდენი არ მექნებაო, არ შეიძლიაო ცოტა ხნის ვადისათვის ეს ხარჯი მოვახდინოვო“..... „გუშინწინამ (წაიკითხე რჩევამ) 11 ოქტომბერს უარი გამოუცხადა ხარაზოვის ვადის გაგრძელებაზედაც“ და სხვ. დასასრულ ავტორი ხსენებულის კორრესპონდენციისა ამბობს:

„თუ ორი წლის შემდეგ ბატ. ხარაზოვი არ დათანხმდა ქალაქის გამგეობის ახალ პირობაებზედ, მან უნდა გადაიტანოს თავის შენობა და ამით მცხოვრებლები მოაკლდებიან ერთს სიამოვნებას, წარმოდგენებისთვის კარგათ მოწყობილს თეატრს, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის ძრიელ საწყენად დარჩებაო“....

ამ საგნის თაობაზედ მე ვაცნობე „ქავკაზის“ რედაქციას კორრესპონციის შეცდომილება და მივეცი კიდეც საშუალება, რომლითაც მას და მის მკითხველებს ადვილათ შეეძლოთ განსჯა, რამდენათ მართალი იყო ის ცნობა; ვაცნობე თუ რა მიზეზისათვის უარი უყვეს ხარაზოვს თხოვნაზედ, რომელი ზნეობითი აზრით იხელმძღვანელა ამ შემთხვევაში ჭუთაისის ქალაქის რჩევამ, გარდავეცი მკითხველებს შეძლებისა მებრ, სრული ანგარიში ამ საქმის თაობაზედ ჭუთაისის სამოქალაქო რჩევის სხდომისა, ის მოსაზრება და სიტყვები, რომელნიც წარმოითქვა იქ იმ ღამეს და რომლითაც ხელმძღვანელობდნენ რამოდენიმე ხმოსანთაგანი.

დღემდისინ „ქავკაზის“ სიჩუმეშია ამ საგანზედ. თუ ჰფიქრობს, რომ ეს ჩემი ცნობა არ არის მკითხველებისათვის ყურადღების ღირსი, მით უფრო დანაშაულია ის ამ შემთხვევაში, რადგანაც პირველი ცნობა—ისეც შეცდომითი—უკვე ნაამბობი იყო. თუ „ქავკაზის“ რედაქციას თავის მკითხველების ინტერესი აქვს, არავითარი მიზეზი არ ჰქონდა ჩემი კორრესპონდენციის დაუბეჭდველობაზედ.

ამ წერილით მინდა ვაცნობო „ქავკაზის“ რედაქციას და ესთხოვო გამოაცხადოს: მიიღო მან ჩემი პასუხი ხსენებულს ცნობაზედ თუ არა; თუ მიიღო, რა მიზეზით არ დაიბეჭდა?

დარწმუნებული ვარ, ჰეშმარიტების აღსადგენათ „ქავკაზის“ რედაქცია შეიწყნარებს ამ თხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე დავრწმუნდები, რომ ჩემი პასუხი მხოლოთ იმიტომ არ იქმნა დაბეჭდილი, რომ ის წინანდელი ცნობა იყო დაბეჭდილი როგორც რეკლამა ხარაზოვისა...

ანდრია დულაძე.

ქუთაისი, 4 ნოემბერი.

უცხოეთი

—

წვრილი ამბები. ჩეხური გაზეთის *Bohemia*-ს კორრესპონდენტი იწერება ბერლინიდამ, რომ ამ ბოლო დროს მოლაპარაკება ჰქონდათო სახელმწიფოებს ბლადსტონის წინადადებაზე, რომელიც ურჩევდა მათ ერთ-პირად მოქმედებას აღმოსავლეთის საქმეში. ოსმალეთზე ზედ-გავლენის მოპოვებისათვისო. სასურველი შედეგი არ ჰქონია ამ მოლაპარაკებას, რადგანაც ეს წინადადება არ მიუღიათ ბერმანიას, ენგრიის დეპუტატებს და საფრანგეთს.

ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ოსმალეთი არ ასრულებს ბერლინის კონგრესის განაჩენს. დულცინიო არ ჩაუბარებია ჩერნოგორიას და, როგორც ჰგონებენ, არც გადაეცემა: დერვიშ-ფაშაც ისე ხრიკიანობს როგორც მისი უწინდელი მოადგილე რიზა-ფაშა. რაც შეეხება საბერძნეთს, რომელსაც მიზომოდა ოსმალეთისაგან მიწები თესსალიის ოლქში, ამისთვის სახელმწიფოებს ურჩევიათ, რომ რამდენიმე წელიწადი კიდევ მოიცადოს, „სანამ საქმეთა გარემოება უფრო სახელთებელი იქნებაო“.

—

სპარსეთის ჯარს რამდენიმე ადგილას დაუმარცხებია აჯანყებულნი. ჭურთები. ინგლისურს გაზეთს *Daily News*-ს აცნობებენ, რომ ქურთების წინამძოლს შეიხს იბნაბდულას წერილით წინადადება მიუცია სპარსეთის შაჰის ძმისათვის—აჯანყებულ ქურთების მეთაურობა იკისრე და დამოუკიდებელი სახელმწიფო დავაფუძნოთო. შაჰის ძმას არ მიუღია ეს წინადადება და იბნაბდულას წერილი და ელჩები თავის ძმისათვი გადუცია.

ს

ოსმალეთის მმართებლობა მოელის თურმე, რომთუ ჟურთები სპარსეთიდამ გამორეკეს, მაშინ ოსმალეთში გადავლენ და სომხეთს გაანადგურებენო. იმავე გაზეთის კორრესპონდენტის სიტყვით, სპარსეთის ელჩი პორტას წინაშე წინადვე ეუბნებოდა ოსმალეთის მმართებლობას, რომ იბნაბდულას ორი სათოფ-წამლე ქარხანა აქვს და რაღაცას ეპირებაო, მაგრამ ამ გაფრთხილებას ყურადღება სრულიად არ მიაქციესო.

განცხადებანი

„პირუტყვთა დამცველი თფილისის საზოგადოების“ გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ საწევრო ხვედრი ფული წარადგინონ საზოგადოების ხაზინადართან ბატ. ქასუმოვთან იმის სავაჭრო სახლში, ერევნის მეიდანზე, ჯაყელის სახლში. ვინც ამ ნოემბრის 20-მდინ ფულს არ შემოიტანს წევრობიდგან გამორიცხული იქნება.

5—1

მოსამავალის 1881 წლის პირველის იანვრიდამ გამოვა ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი

„მიმოხილვა“

პროგრამმა ამ ჟურნალისა: ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

გამოვა თვეში ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.

ფასი ჟურნალისა წელიწადში რვა მანეთი; ნახევარი წლისა ოთხი-და-ათი შაური.

წელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანისა და ამხ წიგნის მაღაზიაში, ქვაშვეთის ეკკლესიის შენობაში № 1 და 2 და თვით რედაქციაში გიორგიევის ქუჩაზე, არჯავანიძის სახლებში, № 11.

გარეშე წელის-მომწერნი მომართვენ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Гр. Чарквіани.

რედაქტორი და გამომცემელი
ნინო გაბაშვილი.

(5—1)

ჯანჯუღაზოვის საძმეების კონკურსის უზრავლესის განკარგულებით ჯანჯუღაზოვების დიდს მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში გაისყიდება სხვა-და-სხვა საქონელი და თუჯის ფეჩები ნარდათ და ცალკე-ცალკე მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ და საღამოს 5-დამ 8-მდინ.

კურატორი პ. ლებედინსკი.

5—3

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება

პეპო

თხზულება გაბრ. სუნდუკიანცისა

ავტორისგანვე ქართულად ნათარგმნი.

ისყიდება: შაერდოვის სააგენტოში (ბულვარზე), ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში (არწრუნის ქარვასლაში) და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ზუბალოვის შენობაში, ხიდთან.)

ფასი 40 კაპ.

(5—1)

ტფილისში

შაშერდოვის გაზეთის სააგენტო

(ბოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შაერდოვის პავილიონში.)

დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის.

შველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова

(25—2)

ინგლისის მაღაზიაში

შაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრიანდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—3)

ვილებ

ეკკლესიის კანკელს

ყველა მოწყობილებით და სახლის მოწყობილების ჩუქურთმას მოსაჭრელად.

ჩემი ქარხანა იმყოფება საპიორნის ქუჩაზედ, ბერძენოვის სახლში, № 18

განკეთების და შებეღის ჩუქურთმის მჭრელი

დავით ივანეს-ძე გიგაური.

(10—9)

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად დგას.

(100—65)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შედარეთ ჩვენი ჩაი—1 ფ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 ფ. 40 კ

— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაკტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რამელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—49)

ახალგაზდა კაცი, მცოდნე ოსმალო-იტალიანური ბუხგალტერიისა მსურველია იმეცადინოს სადილს შემდეგ საკუთარს კანტორაშიაც. ამასთანავე აძლევს გაკვეთილებს, როგორც ბუხგალტერიის ნაწილისა ისე ყოველივე საგნებში პროგიმნაზიის კურსისა.

იკითხოს: 5 უჩასტკაში სურპნიშნის საკუთარ სახლებში, № 17-ში იაკობ ტერ-აკოფოვი. 5 3

კატენტიანი ზამთრები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმგები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინდურ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ცუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—76)

ОБЪ ИЗДАНІИ

въ 1881 году въ г. Тифлисѣ еженедѣльнаго русскаго юридическаго журнала

„СУДЕБНЫЕ ПОРЯДКИ“.

Журналъ „Судебные Порядки“ будетъ выходить съ января 1881 года по воскресеньямъ, въ объемѣ не менѣе двухъ листовъ небольшаго формата подъ редакціею присяжнаго повѣреннаго округа Тифлисской судебной палаты Александра Ивановича Карабегова, по слѣдующей программѣ:

ПРОГРАММА

еженедѣльнаго юридическаго журнала „Судебные Порядки“.

1) Передовыя статьи, заключающія въ себѣ общіе взгляды на состояніе правосудія въ судахъ гражданскихъ и положительнаго законодательства.

2) Судебные процессы, имѣющіе общественный интересъ.

3) Юридическія замѣтки и изслѣдованія, имѣющія предметомъ обсужденіе общихъ началъ права, отдѣльныхъ законоположенній, мѣстныхъ обычаевъ, судебныхъ рѣшеній, опредѣленій и т. п.

4) Юридическія извѣстія, заключающія въ себѣ свѣдѣнія о явленіяхъ общественной жизни, имѣющихъ юридическій интересъ.

5) Библіографическія извѣстія, заключающія въ себѣ свѣдѣнія о вновь выходящихъ юридическихъ сочиненіяхъ.

6) Офиціальныя извѣстія, содержащія въ себѣ свѣдѣнія о новыхъ законоположеніяхъ, распоряженіяхъ правительства, движеніи по службѣ, судебные указатели и резолюціи по дѣламъ, назначеннымъ къ слушанію въ Тифлисской судебной палатѣ.

7) Фельетонъ: а) полемическія статьи, не имѣющія характера передовыхъ статей, и б) отдѣльныя мелкія статьи юридическаго характера, не вошедшія въ составъ предъидущихъ отдѣловъ.

8) Объявленія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ съ доставкою въ Тифлисѣ и пересылкою въ другіе города Россіи **семь** рублей, на полгода, для подписчиковъ г. Тифлисѣ **четыре** рубля, для иногородныхъ **четыре рубля пятьдесять коп.**, по почтовому союзу—на годъ **десять** руб., на полгода **шесть** руб., отдѣльные номера по **двадцати** коп.

Подписка принимается: въ Тифлисѣ: до 1 декабря сего года въ квартирѣ редактора, на Коджорской улицѣ, домъ № 8, а съ 1 декабря въ помѣщеніи редакціи—въ пассажѣ каравансарая Тамамшевыхъ, на Эриванской площади, въ г. Елисаветополѣ — уполномоченнымъ при управленіи государственными имуществами Р. И. Карабеговымъ, въ г. Кутаисѣ—присяжнымъ повѣреннымъ М. А. Кикодзе, въ г. Эривани—присяжнымъ повѣреннымъ В. И. Егіазаровымъ.

Редакторъ-издатель **А. Карабеговъ**.

(5—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 10 Ноября 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.